საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1387 2016 წლის 11 ივლისი ქ. თბილისი

„სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ სესხის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №2036 განკარგულებით მოწონებულ სესხის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის №458 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს „სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ სესხის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №2036 განკარგულებით გათვალისწინებულ სესხის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ განკარგულების გამოცემის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (გარდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტისა) და ინფორმაცია მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი